08/18

ხელშეკრულება №69
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON150000014)

8 მაისი 2015 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქ. თბილისის #163 საჯარო სკოლა " (შემდგომში- შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლელა ქინქლაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "დეკორი" (შემდგომში- მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის დიმიტრი კვეკვესკირის სახით"სახელწიფო შესყიდვების შესახებ "საქართველოს კანონის 20 მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 20 მარტის #2 ბრძანებით დამტკიცებული A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების აგრეთვე „2015 წლის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშვალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 დეკემბრის #2172 განკარგულების საფუძველზე. საბეჭდი ქაღალდის 2015 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (№CON150000014) (შემდგომში- კონსოლიდირებული ტენდერი) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

1.2. შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. მიმწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. ხელშერკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე

1.6. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთველისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა , აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანი 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხის ფარგლებში ა/4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის (CPV კოდი- 30197630) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

2.2. ხელშეკრულებით გათავლისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საგნის ღირებულება შეადგენს 306 (სამასექვსი ლარი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათველისწინებული ყველა სახის გადასახადის და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 4. მიღებ-ჩაბარება და ანგარიშწორება

4.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშ-ფაქტურით. შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტირის ხელმოწერაზე უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტში მითითებული პირი.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, უნაღდო ანგარისწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბეჭდი ქაღალდის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან, 2015წლის 31 ივნისის ჩათვლით ეტაპობრივად ქ.თბილისის ტერიტორიაზე. შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად თვეში ერთხელ , არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში (3 სამუშაო დღე იგულისხმება შეკვეთის მიებიდან მომდევნო 3 სამუშაო დღე) და შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე მხოლოდ და მხოლოდ ქ.თბილისის ტერიტორიაზე. ქ.თბილისის ფარგლებს გარეთ არსებულ სახელმწიფო ორგანიზაციებს რომლებსაც ევალებათ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შეისყიდონ საბეჭდი ქაღალდი საქონლის გატანა შეუძლიათ ქ.თბილისი აკაკი ბელიაშვილის #157 და კახეთის გზატკეცილი 108. ქ.ქუთაისი ორახელაშვილის #14.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების პირობების შესრილებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 6.3 პუნქტის "გ" ქვეპუნქტთ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯის ანაზღაურება.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3.მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად,კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესყიდული საქონლის ხარისხის შემოწმებას.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. ინპექტირების მიზნით გამოყენებული საკუთარი ან მოწვეული პერსონალის შრომის ან ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7.4. ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. პირგასამტეხლო

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით დარჩენილი რაოდენობის 5%-ის ოდენობით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევეში.

8.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველ ორგანიზაციას დააკისროს ჩაბარებული საქონლის 0,05% პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მუხლი 9. ფორსმაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეული ფორსმაჟორით.